ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7983608

ნომერი: AR11149445

თარიღი : 25.06.2026

გაცემის თარიღი : 02.07.2026

გაცნობის თარიღი : 02.07.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ლისის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ლომაია პ/ნ 42031000551
- თბილისი გიზო ნიშნიანიძის 1, ბინა 18

ნომენკლატურა :

- მაღაზია
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი ლომაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 42031000551

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 7970038
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 23.06.2026

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 7519808

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.06.2025

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2026 წლის 25 ივნისის №AR11149445 განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2026 წლის 27 აპრილის №593 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი სამსახურის 2025 წლის 13 ივნისის №7513288 და 2025 წლის 18 ივნისის №7519808 ბრძანებები და სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2026 წლის 25 ივნისის №AR11149445 განცხადება.
დამატებით გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2026 წლის 27 აპრილის №593 ბრძანების დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის (ჩაბარების) და მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა ბრძანების აღსრულების ფარგლებში იმსჯელოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხზე და მიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.